

ანგარიში

მსიფლიოში მოსახლეობის ზრდა, მინერალური სასუქის არარაციონალური, ინტენსიური გამოყენების შედეგად დეგრადირებულ-დაბინძურებული მიწები, კლიმატურ ზონებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, დედამიწის მაგნიტური ველის შესუსტება, გლობალური დათბობა, აი ზოგიერთი იმ მიზეზთაგანი, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებენ კაცობრიობის საკვები პროდუქტებით მომარაგებას. ამ სირთულის აღმოფხვრის გზაზე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება შედარებით ნაკლები დანახარჯებით. ამასთანავე, მიღებული პროდუქტი უნდა იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიზანს წარმოადგენს მცენარის ზრდიასა და განვითარებისათვის საუკეთესო პირობების გამოვლინება, ნიადაგისა და ნაყოფის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამასთანავე ეკონკრეტული დანახარჯებისა და რისკების შემცირება

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში უხვადაა ინფორმაცია რომელიც ეხება ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებითა და ნიადაგში ბუნებრივი ცეოლითის სხვადასხვა ორგანულ თუ არაორგანულ სასუქთან კომბინირებული ნარევის შეტანის გზით მოსავლიანობის გაზრდის საკითხებს, მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ჯერ არ არის შესწავლილი მათი ერთობლივი გამოყენების ეფექტები.

მრავალ ნაშრომში ხაზი აქვს გასმული ელექტრომაგნიტურ ველში სხვადასხვა მცენარეების თესლის თესვისწინა დამუშავების დადებით ეფექტებს მრავალ განზომილებაში, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მოსავლის რაოდენობის ზრდას და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, კონკრეტულ სიტუაციისათვის კორექტულად შერჩეული პარამეტრების ველით, სხვადასხვა მცენარეთა თესლზე ზემოქმედების შედეგად: გაიზარდა აღმოცენებული თესლის რაოდენობა, ნედლი და მშრალი წონა, ყვავილების რაოდენობა, აორთქლების, ფოტოსინთეზის მიმდინარეობის, ფესვისა და ღეროს ზრდის სიჩქარეები, N, P, Ca, Mg-ის პროცენტული შემადგენლობა.

ცეოლიტზე დაფუძნებული სასუქი, კათიონების მაღალი მიმოცვლითი უნარისა და ფორული აგებულების გამო ცნობილია არიან "ჰკვიანი სასუქის" სახელით. დამტკიცებულია, რომ ცეოლიტს ბუნებრივად აქვს ნათესის/ნარგავის ძირის ზონაში საკვები ნივთიერების ნელი გამოთავისუფლების მექანიზმი, რითაც ზრდის მცენარეთა სიძლიერესა და ნაყოფიერებას.

